შპს „მშენებლობა-პროექტირების ექსპერტიზის ცენტრი“
A-EXPERT

მიღება-ჩაბარების აქტი

2019 წლის 23 ნოემბრის ხელშეკრულებაზე №065/11/19

ქ.თბილისი 05 დეკემბერი 2019 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ შპს „მშენებლობა-პროექტირების ექსპერტიზის ცენტრი“ ს/კ 404194249 (შემსრულებელი), დირექტორი დავით ჯიჯიეშვილი და მეორეს მხრივ შპს „ალუ“ ს/კ 405158289 (დამკვეთი) დირექტორი ალუდა ჩარკვიანი ხელს ვაწერთ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია №065/11/19 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

შესრულებულია სამუშაო:

ინსპექტირების ანგარიში: №093/12/19, ქ. თბილისში, ასმათის ქ. №25-ში (ს/კ 01.72.14.036.191) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურულ ნაწილზე

მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ვადასტურებთ რომ არ არსებობს ურთიერთ პრეტენზიები შესრულებულ სამუშაოზე;

ეს აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცა ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებს.

შემსრულებელი:

შპს „მშენებლობა-პროექტირების ექსპერტიზის ცენტრი“-ს

დირექტორი _____ დავით ჯიჯიეშვილი

დამკვეთი:

შპს „ალუ“

დირექტორი _____ ალუდა ჩარკვიანი

თარიღი 05.12.2019

ინსპექტირების ანგარიში

№ 093/12/19

ინსპექტირების ობიექტი: ქ. თბილისი, ასმათის ქ. №25-ში (ს/კ 01.72.14.036.191)

ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის

არქიტექტურული ნაწილი

თბილისი
2019 წელი

შპს „მშენებლობა-პროექტირების ექსპერტიზის ცენტრი„ A-EXPERT 405194249

შემადგენლობა

1. დამკვეთი 3

2. შემსრულებელი ინსპექტორი/ები 3

3. წარმოდგენილი დოკუმენტები: 4

4. კვლევითი ნაწილი 6

5. გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა 12

6. დასკვნა 13

დამკვეთი: საიდენტიფიკაციო კოდი: მისამართი: დამკვეთის წარმომადგენელი:	შპს „ალუ“ 405158289 ქ.თბილისი, ატენის ქ. №18ბ დირექტორი: ალუდა ჩარკვიანი
ინსპექტირების ჩატარების საფუძველი:	განაცხადი № 066/11/19 ხელშეკრულება № 065/11/19
ინსპექტირების სფერო:	სამშენებლო ობიექტის პროექტის ინსპექტირება (არქიტექტურული ნაწილი)

შემსრულებელი ინსპექტორი/ების:

1	ნუგზარ კაციტაძე	არქიტექტორი

პროექტის დასახელება	ქ. თბილისში, ასმათის ქ. №25-ში (ს/კ 01.72.14.036.191) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილი
არქიტექტორი	გიორგი კაჭარავა

A-EXPERT 405194249

წარმოდგენილი დოკუმენტები:

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებული იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: „მშენებლობის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი.

შენიშვნა:

1.საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქათველოს მტავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ - დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სამშენებლო სფეროში სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2.საექსპერტო დასკვნისათვის მოწოდებული დოკუმენტაციის სიწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

პროექტის აღწერილობა:

საპროექტო მიწის ნაკვეთი, ფართობით 1250,0მ² სწორია. არ მდებარეობს ხე-ნარგავები. საპროექტო შენობის განთავსება ხდება განაშენიანების რეგულირების წითელი და ლურჯი ხაზების დაცვით.

საპროექტო შენობა 4 სართულიანია, I სართულზე დაპროექტებულია ავტოსადგომები, დანარჩენ 3 სართულზე განლაგებულია საცხოვრებელი ბინები. სართულების სიმაღლეები არის 3,15 მეტრი.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

A-EXPERT 405194249

1.გენგეგმას;

2.მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილ გეგმას (გენგეგმა);

3.გეგმებს, ფასადებს, ჭრილებს;

4.დეტალების ფრაგმენტალურ ნახაზებს;

5.დაკავებულობების და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს;

6.შენობის ვიზუალიზაციას.

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 47-ე მუხლით განსაზღვრული არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა ინსპექტირების ჩატარების შესაძლებლობას.

ინსპექტირების ანგარიში საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1. დაკავებულობების და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

2. კონსტრუქციული ტიპების შეფასებას;

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

4. გასასვლელებისა და გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

5. გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასებას;

6. მისაწვდომობის შეფასებას;

7. გარე კედლებისადმი მოთხოვ ნების შეფასებას;

8. სახურავის ანაწყობების შეფასებას;

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამიჯვნების შეფასებას;

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

11. წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

12. ლიფტების შეფასებას;

13.ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასებას.

გამოკვლევა

1.დაკავებულობების და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება

საპროექტო ობიექტისათვის და მისი ცალკეული ნაწილებისათვის განსაზღვრული დაკავებულობები არის:

-სწ-2 (311.3) მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი, რომელიც „წესების“ თანახმად მოიცავს ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომები“. ეს შემოზღუდული ავტოსადგომი განთავსებულია 0.0 ნიშნულზე არსებულ სართულზე. „წესების“ ქვეთავის თანახმად 1004.1.2 მიხედვით) ამ დაკავებულობისათვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის კოეფიციენტი (18.6 მთლიანი).

-სც-2 (303.4) საცხოვრებელი ჯგუფი, რომელიც „წესების„ თანახმად მოიცავს მრავალბინიან სახლებს: ეს დაკავებულობები განთავსებულია +2.99; +6.14; +9.29; 12.44 ნიშნულებზე „წესების“ ქვეთავის 1004.1.2 მიხედვით ამ დაკავებულობისათვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის კოეფიციენტი (18.6 მთლიანი).

2.კონსტრუქციის ტიპის შერჩევა.

საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპად განსაზღვრულია I-B ტიპი, რომელიც ამ შემთხვევაში შერჩეული იქნა შენობის დაკავებულობის და სართულიანობის მიხედვით და სრულად აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება

წარმოდგენილი დაკავებულობის (სც-2) და (სწ-2) და კონსტრუქციული ტიპის (I-B) გათვალისწინებით. შენობის სიმაღლე და ფართობი აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოტხოვნებს.

503 ცხრილის მიხედვით (სწ-2 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე.

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	11	1
ფართი	7340	497.7
სიმაღლე	48.8	2.99

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე, 503 ცხრილის მიხედვით (სც-2 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	11	3
ფართი	შეუზღუდავი	2072.0
სიმაღლე	48.8	12.44

შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 12.70 მეტრი, ხოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 13 მეტრზე დაბლა შესაბამისად „წესების“ თანახმად საპროექტო შენობა არ ითვლება მაღლივად.

4.გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

-დაკავებულობის (სც-2), გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილების (38.0 მეტრზე) ბევრად ნაკლები და სართულიანობის (4 სართული) გათვალისწინებით, აგრეთვე იმის

A-EXPERT 405194249

გათვალისწინებით, რომ შენობა არ არის მაღლივი და საცხოვრებელ ბინებს გააჩნიათ 1029 ქვეთავის შესაბამისი საავარიო გასაქცევი და თავდასაღწევი ღიობები, რომლებთანაც მიდგომა შესაძლებელია სახანძრო მანქანით. შენობას გააჩნია 2 გასასვლელი გზა-კიბე.

-გზა კიბე მიემართება პირდაპირ შენობის გარეთ, რაც აკმაყოფილებს 1027.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

-შენობის ერთ-ერთი გზა-კიბე გრძელდება სახურავის ზედაპირამდე, რაც აკმაყოფილებს 1009.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

ვინაიდან შენობა არ არის მაღლივი, გზა-კიბეს მაინც გააჩნია დაუკვამილებელი შემომზღუდავი სივრცით. დანარცენი სივრცეებისაგან შემოზღუდულია 2 სთ-ანი ცეცხლმედეგობის შემომზღუდავებით და ნიავდება ბუნებრივი განიავებით. რაც შეეხება გარე კედელს, რომელიც გზა-კიბის შემომზღუდავის ნაწილია. 10093.1.8 ქვეთავის მიხედვით ის აკმაყოფილებს გარე კედლებისადმი განსაზღვრულ მოთხოვნებს. 601 ცხრილის შემთხვევაში, თუ გარე კედელი მზიდია, ამ შემთხვევაში გზა-კიბის შემომზღუდავი გარე კედელი არ წარმოადგენს სტრუქტურულ ელემენტს და მისი ცეცხლმედეგობის ხარისხი დასაშვებია იყოს 1 საათი, რაც პროექტით გათვალისწინებულია.

ყველა საცხოვრებელ სართულს გააჩნია გასასვლელთან მისადგომი დერეფანი, რომლებიც მოწყობილია 1018 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. დერეფნებში მოწყობილია საჰაერო შახტები, რომლებიც შესაბამისი მოწყობილობებთან ერთად უზრუნველყოფენ მექანიკურ განიავებას.

შენობიდან გამოსვლა ხდება ეზოში, შემდგომ აქედან საზოგადოებრივ სივრცეში ხდება დაუბრკოლებლად მოხვედრა საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით.

გასასვლელთან მისადგომი სავალი ნაწილის ზომებიდაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

5.გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტანუნარიანობების შეფასება;

შიგა გასასვლელის გზა-კიბეების სიგანე არის 1,2 მეტრი (კედელსა და მოაჯირს შორის), რაც აკმაყოფილებს 1005.3-ის და 1009.4 ქვეთავის მოთხოვნებს. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილი მოაჯირები 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია მოაჯირები 1012 ქვეთავის შესაბამისად. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

-დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნებს. დერეფნების მინიმალური სიგანე არის 1.5 მეტრი, რაც 1005.3.2 ქვეთავის და 1018.2 ცხრილის მიხედვით დასაშვებ მინიმუმზე (1.2 მეტრი) მეტია.

6.მისაწვდომობილის შეფასება:

შენობაში შესასვლელი (0.0 სართულზე განთავსებულ ლიფტის ფოიე) არის მიწის დონიდან 0,15 მეტრი, მოწყობილია პანდუსი შშმ პირთათვის, ხოლო სხვა სართულებზე ყველა დონე ლიფტის მეშვეობით არის მისაწვდომი.

7.ლიფტების შეფასება:

შენობაში დაპროექტებულია 1 ლიფტი (1007.2.1), რომელიც მოსახერხებელია შშმ პირთა გადაადგილებისათვის.

ლიფტის კაბინა გაბარირტების მიხედვით ისეა დაგეგმარებული, რომ შესაძლებელია მასში 2.15X0,60 ზომის საკაცის შეტანა. ლიფტის დაგეგმარებისას გამოყენებულია „წესების„ 1702,4; 1109.7 და 1007.4 ქვეთავის მოთხოვნები, ლიფტები უკავშირდება შენობის სართულებზე არსებულ დერეფნებს.

ლიფტის შახტაში მოწყობილია დაწნევის სისტემა. სახურავის ნაწილში მოწყობილია ლიფტის სამანქანე ოთახები, რომელიც დაკავშირებულია გზა-კიბესთან. ლიფტი შემოზღუდულია 2 სთ-იანი ცეცხლმედეგობის კედლით. ლიფტი დაგეგმარებულია „წესების„ სრულ შესაბამისობაში და აკმაყოფილებს მე-17 თავის მოთხოვნებს.

8.გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შენობის ყველა გარე კედელი არის ბეტონი, ბლოკით რკინაბეტონის კარკასის შევსება, რომლებიც შელესილია და 721.1(1) და 721.1(2) ცხრილების თანახმად გააჩნია 2 სთ-ზე მეტი ცეცხლმედეგობა, თუმცა 602 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ყველაზე კრიტიკული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებითაც, 1 სთ-ს არ აღემატება. ამიტომ პროექტის ავტორის მიერ, გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხად მითითებული 1 საათი აკმაყოფილებს „წესების„ მოთხოვნებს.

-გარე კედლების ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით დ აკმაყოფილებს 705.8 ცხრილს.

9.სახურავის ანაწყობის შეფგასება;

-სახურავის კონსტრუქცია არის რკინაბეტონი მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა მცირე ქანობით. გააჩნია წყალსარინი ღარები და მილები.

-601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (I-B) გამომდინარე სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს უნდა გააჩნდეთ 1 სთ-იანი ცეცხლმედეგობის ხარისხი. პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებულია ხანძარმედეგობის უფრო მეტი 2 სთ-ანი ხარისხი.

სახურავზედა ნაგებობების (კიბის, ლიფტის, სამანქანოს და სხვა ნაწილების) ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის 1/3-ს, რაც აკმაყოფილებს 1509.2.2 პუნქტის მოთხოვნებს.

-პარაპეტს ისეთივე ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა ჰქონდეს, როგორც აუცილებელია საყრდენი კედლისათვის.

A-EXPERT
405194249

10.ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამიჯვნის შეფასება;

შენობაში 2 დაკავებულობაა, ისინი ერთმანეთისაგან იმიჯნებიან 2 სთ-იანი ცეცხლმედეგი კედლებით და სართულშუა რკინაბეტონის მონოლითური გადახურვით, რაც სრულ შესაბამისობაშია „წესების“ 508.4 ცხრილის მოთხოვნებთან.

-შვეული გამიჯვნების შემთხვევაში, შენობაში არსებული საცხოვრებელი ბინები, ერთმანეთისაგან 420.2 ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს გამიჯნული ცეცხლმედეგი ტიხრებით, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 1 სთ-ი, რაც პროექტით არის გათვალისწინებული და აკმაყოფილებს 708.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

-კიბის უჯრედი დანარჩენი სივრცეებისაგან გამიჯნულია 2 სთ-იანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ზღუდეებით, სადაც მოწყობილია 90 წთ-იანი ცეცხლმედეგობის მქონე კარები, რაც აკმაყოფილებს 1009.3.1.2 ქვეთავის და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.

-შენობაში არსებული შახტების (ლიფტი, საჰაერო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 სთ-იანი, რაც შეესაბამება 713.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

11.ხარძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

ვინაიდან საპროექტო, სც-2 ჯგუფის შენობის იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე ზემოთ, „წესების„ 903.2.8 ქვეთავის მიხედვით, ავტოსაშხეფი სისტემის დაყენება საჭირო არ არის, არ არსებობს ისეთი დაკავებულობა ან გარემოება, რაც „წესების„ თანახმად ითხოვდეს ავტოსაშხეფ სისტემას, შესაბამისად არც პროექტით არის გათვალისწინებული.

-შიგა გასასვლელი გზა-კიბის შუალედურ ბაქნებზე გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა.

-შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განაგშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კვამლის ავტომატური აღმომჩენები, რომლებიც განთავსებულია კიბის უჯრედში და ლიფტის სამანქანო ოთახში.

12.წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყბილობების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ:

-საცხოვრებელი ბინები უზრუნველყოფილია წყალსადენი სისტემების ყველა აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობით.

13.ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასება:

ავტომობილებისათვის განკუთვნილი ადგილების ზომები, სიგანეში 2,5 მეტრი, ხოლო სიგრძით - 5,5 მეტრია, რაც აკმაყოფილებს 406.9.3.1 და 406.9.3.2 მოთხოვნებს.

-გათვალისწინებულია, აგრეთვე გასასვლელების მიმართ მოთხოვნები ავტოსადგომების ზომების და განლაგების გათვალისწინებით, რაც შეესაბამება 406.9.4.3.1 ცხრილის მოტხოვნებს.

ავტოსადგომთან მისვლა ხდება ხალმხრივი შესასვლელ-გასასვლელი საავტომობილო გზით, რომლის მინიმალური სიგანე არის 5.9 მეტრია, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.

გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები

1. “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება №57).
2. ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” (საქართველოს მთავრობის 2016 წ. 28 იანვრის დადგენილება №41);
3. BREC-IB-PR-05- ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

შპს „მშენებლობა-პროექტირების ექსპერტიზის ცენტრი“ A-EXPERT 405194249

12.წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყბილობების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ:

-საცხოვრებელი ბინები უზრუნველყოფილია წყალსადენი სისტემების ყველა აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობით.

13.ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასება:

ავტომობილებისათვის განკუთვნილი ადგილების ზომები, სიგანეში 2,5 მეტრი, ხოლო სიგრძით - 5,5 მეტრია, რაც აკმაყოფილებს 406.9.3.1 და 406.9.3.2 მოთხოვნებს.

-გათვალისწინებულია, აგრეთვე გასასვლელების მიმართ მოთხოვნები ავტოსადგომების ზომების და განლაგების გათვალისწინებით, რაც შეესაბამება 406.9.4.3.1 ცხრილის მოტხოვნებს.

ავტოსადგომთან მისვლა ხდება ცალმხრივი შესასვლელ-გასასვლელი საავტომობილო გზით, რომლის მინიმალური სიგანე არის 5.9 მეტრია, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.

გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები

1. “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება №57).

2. ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” (საქართველოს მთავრობის 2016 წ. 28 იანვრის დადგენილება №41);

3. BREC-IB-PR-05- ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

დასკვნა

ქ. თბილისში, ასმათის ქ. №25-ში (საკ.კოდი №01.72.140.14.689), ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტირების ჩატარების პერიოდი:

დაწყების თარიღი: 23.11.2019

დამთავრების თარიღი: 05.12.2019

ექსპერტი	_____	ნუგზარ კაციტაძე
ტექნიკური მენეჯერი	_____	გიორგი პანკრატოვიჩი
დირექტორი	_____	დავით ჯიჯიეშვილი

შპს „მშენებლობა-პროექტირებისექსპერტიზის ცენტრი„ A-ტიპის ინსპექტირების ორგანო ს/კ 405194249 შპს „მშენებლობა-პროექტირების ექსპერტიზის ცენტრი“ საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ატენის ქ.№6/8, ბ. 66 სამშენებლო ობიექტის პროექტის ინსპექტირება (არქიტექტურული ნაწილი)	გვერდი 14/14 გვერდიდან

სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013
GAC–IB-0330

სსიპ „აკრედიტაციის მართვითი ერთეული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0330

ადასტურებს, რომ

შპს "მშენებლობა-პროექტირების ექსპერტიზის ცენტრი"-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, ატენის ქუჩა №6/8, ბ.66

შეფასება და აკრედიტაცია განხორციელდა საქართველოს სტანდარტებს

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

ადმინისტრაციული შენობა: 1. ობიექტის ინფრასტრუქტურის შესაბამისობის შეფასებისინსპექტირება; 2 ობიექტზე მიწოვნელი სამშენებლო ინსპექტირება (მათ შორის ფორმა №2 ის მიხედვით); 3. ობიექტის ას მასზე ნაწილის ტექნიკური ზედამხედველობის, შესრულებული სამუშაოების, აარეზონტროლი, ინსტრუმენტალური სატესტირებელი, სარეაბილიტაციო, ბალანსირებული სამუშაოების თანმდევი ობიექტის ნაშენებლო ობიექტის, პროექტირებისა-სანდნობის) ან ობიექტის ნაწილის მიღმიდ დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასებისსანქციონირება. ასა შიგნით: კონსტრუქციული ნაწილი, არქიტექტურული ნაწილი.

ად. დანართი - „აკრედიტების სფერო“

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
16 ოქტომბერი 2019 წ.

ძალაშია
20 ივლისი 2022 წ.

ს.ა.

0166 თბილისი, ალ. კაზბეგის გამზ. №12ა

A-EXPERT
405194249

დიპლომი

Щ № 279743

ეს დიპლომი მიეცა ნუგზარ ედიშერის-ძე კაციტაძეს

მასზე, რომ იგი 1965 წელს შევიდა ვ.ი.ლენინის სახ. საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1970 წელს დაამთავრა

აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით

არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1970 წ.

„7" ივლისის გადაწყვეტილებით

ნ. ე. კაციტაძეს მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1970 წ. 21 დეკემბერი

სარეგისტრაციო № AP-3

Грузинский вз.

ДИПЛОМ

Щ № 279743

Настоящий диплом выдан Кацитадзе Нугзару Эдишеровичу

в том, что он в 1965 году поступил в Грузинский ордена Трудового Красного Знамени политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1970 году окончил полный курс названного института

по специальности

архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от „7" июля 1970 г.

Кацитадзе Н. Э.

присвоена квалификация

архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М.П. Город Тбилиси „21" Декабря 1970 г.

Регистрационный № AP-3

Московская типография Гознака. 1969.

საკვალიფიკაციო მოწაცემი

სახელი: ნუგზარ კაციტაძე
დაბადების თარიღი: 1947 წლის 25 ივნისი
დაბადების ადგილი: საქართველო, თბილისი

განათლება:

1965-70 წ.წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
სპეციალობა – არქიტექტურა.

პროფესიული გამოცდილება:

1970-1976 წ.წ. – „თბილზნიეპი" – არქიტექტორი, უფროსი არქიტექტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი;
1976-1979 წ.წ. – ინტურისტის საპროექტო კანტორა – განყოფილების უფროსი;
1976-1980 წ.წ. – „თბილზნიეპი" – პროექტის მთავარი არქიტექტორი;
1980-1989 წ.წ. – ელექტროხიკის სამინისტროს მოსკოვის სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიურის თბილისის ფილიალი განყოფილების უფროსი;
1989 წლიდან დღემდე – სს „საქქალაქმშენპროექტი" – არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელი, ჯგუფის ხელმძღვანელი, წამყვანი არქიტექტორი, სახელოსნოს ხელმძღვანელი, მთავარი სპეციალისტი.
1977 წლიდან – არქიტექტორთა კავშირის წევრი.
2008 წლიდან – შ.პ.ს. „მოხოლითმშენი-21" მთავარი არქიტექტორი.

მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები:

- „ინტურისტის" ობიექტების რეკონსტრუქცია და ინტერიერის მოწყობა ქ.ქ. მოსკოვში, ხარკოვში, ლვოვში, ტაშკენტში, კიშინიოვში, ბათუმში, სოხუმსა და თბილისში (1976-79);
- ექსპოზიციების და საკავშირო გამოფენების გაფორმება მოსკოვში;
- ელექტრონიკის სამინისტროს ობიექტების პროექტების დამუშავება და განხორციელება ქ.ქ. მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, ვინიცაში, სოჭში, ხელენოგრადში (1980-89);
- დრამატული თეატრი მახაჩკალაში (1979);
- საცხოვრებელი სახლები გაგინაში (1979);
- ბავშვთა სანატორიუმი გელენჯიკში (1980);
- პროკურატურა მესხეთში (1990);
- საავადმყოფო ჩუგდიდში (1991);
- სასტუმრო ბაკურიანში (1991);
- სასტუმროები გუდაურში (1993);
- სენაკის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა (1993);
- აჭარისა და იმერეთის რეგიონებში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები (2004);
- იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები (2005);
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „ნიხოწმინდა" (2006);
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „ვალე" (2007);
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „გეგუთი" (2008);
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფი" (2008);
- საბაჟო გამშვები პუნქტი „კარწახი" (2009);
- თბილისისა და ქობულეთის საგადასახადოს რეკონსტრუქცია;
- თბილისის რკინიგზის საავადმყოფოსთან არსებული ფრიდონ ოთდუას კლინიკა (2008).